

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს
უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

წარმოგიდგენთ ინფორმაცია შპს „ნიკორას სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით, თქვენს 2022 წლის 17 აგვისტოს N21/4521 წერილში მოცემული შენიშვნებსა და წინადადებებთან დაკავშირებით.

1. გზშ-ის ანგარიშში, ცხრილში N4.2.1 („გეოგრაფიული კოორდინატები“, გვ. 18) წარმოდგენილი GPS კოორდინატები არასწორია და საჭიროებს კორექტირებას.

შენიშვნა გათვალისწინებულია: კორექტირებული კოორდინატები მოცემულია ცხრილში:

წერტ. N	X	Y
1	500079	4614286
2	500098	4614279
3	500088	4614253
4	500069	4614261

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 4 ოქტომბრის N49 სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „პროექტის ალტერნატიული ვარიანტები: შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის არაქმედების ალტერნატივა, ტერიტორიის ალტერნატივა და გარემოსდაცვითი სვალსაზრისით ოპტიმალური, დასაბუთებული ალტერნატივა; ასევე ინფორმაცია ტექნოლოგიური ალტერნატივების შესახებ და შერჩეული ტექნოლოგიის უპირატესობა გარემოსდაცვითი კუთხით“. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია ტექნოლოგიური ალტერნატივებისა და შერჩეული ტექნოლოგიის გარემოდაცვითი კუთხით არსებული უპირატესობის შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას; ამასთან, გზშ-ის ანგარიშში, თავში 3.2 („საწარმოს განთავსების ალტერნატიული ვარიანტები და მათი ანალიზი“) წარმოდგენილი პირველი ალტერნატიული ვარიანტის საკადასტრო კოდი - 81.07.00.042 არ იძებნება და საჭიროებს დაზუსტებას, ხოლო მესამე ალტერნატიული ვარიანტის საკადასტრო კოდი არასრულადაა მითითებული (გვ. 11);

შენიშვნა გათვალისწინებულია: ალტერნატიული ვარიანტების შეფასების განახლებული ვერსია მოცემულია დანართში N1.

3. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ლოჭინი დამორებულია დაახლოებით 70 მეტრით. მონაცემთა, მათ შორის Shp ფაილის ელექტრონული გადამოწმების მიხედვით, მდ. ლოჭინი საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 43-45 მეტრში მიედინება. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
 -08- 09 2022 წ.
 № 4529

შენიშვნა გათვალისწინებულია: გზშ-ს ანგარიშში მითითებული სიდიდე აღებული იყო მიახლოებით (- 70 მ), ადგილზე ჩატარებული ინსტრუმენტული გაზომვით დაცილება საწარმოს რობიდან შეადგენს 50 მ-ს ხოლო საწარმოს შენობიდან 65 მ-ს. საწარმოს განთავსების სიტუაციური სქემა მოცემულია დანართში N2.

მდინარე ლოჭინის სიგრძე შეადგენს 36 კმ-ს და შესაბამისად წყალდაცვითი ზოლის სიგანე შეადგენს 20 მ-ს. გამომდინარე აღნიშნულიდან მდინარის წყალდაცვითი ზოლის საზღვრების დარღვევას ადგილი არ აქვს.

4. გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, „ლუქლიდან ამოღებული გაციებული ფერფლი ჯერ განთავსდება პოლიეთილენის ტომრებში, ხოლო შემდეგ პერმეტულ პოლიეთილენის კონტეინერებში, რომლებიც დროებით განთავსდება არსებული შენობის საწყობში. მათთვის განკუთვნილ ადგილზე“ (გვ. 106), ამასთან, ცხრილში 8.1 („გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა ექსპლუატაციის ეტაპზე“, გვ. 67) აღნიშნულია, რომ „ინსინერატორის ტერიტორიიდან გატანამდე მოხდება ნაცრის ლაბორატორიული შემოწმება ტოქსიკური ელემენტების შეცვლელობაზე, იქამდე კი შეინახება ნაცრის შესანახ ადგილზე“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს რა პერიოდულობით მოხდება ფერფლისთვის (ნაცრისთვის) ლაბორატორიული ანალიზის ჩატარება და მისი ტერიტორიიდან გატანა (საპროექტო ტერიტორიაზე დროებით განთავსების პერიოდი);

შენიშვნა გათვალისწინებულია: როგორც 6.5. პარაგრაფშია მოცემული ინსინერატორის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნაცრის ყველა პარტიას ჩაუტარდება ტოქსიკური ნივთიერებების შემცველობაზე ლაბორატორიული გამოკვლევა და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება მისი ტერიტორიიდან გატანა. იმ შემთხვევაში თუ ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიხედვით ნაცრის პარტიაში არ დაფიქსირდება ტოქსიკური ნივთიერებების შემცველობა, მართვა მოხდება როგორც არასახიფათო ნარჩენი. ტოქსიკური ნივთიერებების შემცველობის შემთხვევაში, როგორც სახიფათო ნარჩენი შემდგომი მართვისათვის გადაეცემა ამ საქმიანობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მქონე კომპანიას.

ნაცრის ყველა პარტიას ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდება კვარტალში ერთხელ. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მონიტორინგის სქემა მოცემულია დანართში N3.

5. გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საწარმოს განთავსების ტერიტორიის 500 მ- იანი ზონის ფარგლებში ანალოგიური პროფილის საწარმო ან სხვა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების მაღალი რისკი საწარმოს ობიექტები წარმოდგენილი არ არის (კომპანია „ჩირინას“ ინსინერატორის შენობა დაცილებულია დაახლოებით 580 მ-ით)“. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების თანახმად, უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის საზღვრებიდან შპს „ჩირინას“ ობიექტი დაშორებულია დაახლოებით 500 მ, ხოლო სს „ნიკორას“ საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 420 მეტრით. გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ შპს „ჩირინას“ ინსინერაციის საწარმოზე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული გადაწყვეტილება გაცემული არ არის. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას.

დაგეგმილი ინსინერატორის შენობიდან და შესაბამისად საპროექტო ინსინერატორის საკვამლე მილის განთავსების წერტილიდან შპს „ჩირინას“-ს ტერიტორიის საზღვარი დაცილებულია 500 მ-ზე მეტი მანძილით (დაზუსტებული მანძილი შეადგენს 530 მ-ს) და გამომდინარე აქედან მისი გათვალისწინება გაფრქვევების გაანგარიშებაში არ მოხდა.

6. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ინსინერატორი იმუშავებს წელიწადში 300 დღე, დღეში 16 საათიანი სამუშაო გრაფიკით, ხოლო აღნიშნულის შესაბამისად არის გაანგარიშებული საწარმოს წარმადობაც (1200 ტ/წელ). თუმცა დოკუმენტაციის გარკვეულ თავებში მითითებულია, რომ „საჭიროების შემთხვევაში, საწარმო იმუშავებს უწყვეტ რეჟიმში, რათა დროულად მოხდეს მალფუნქციონირებადი საცვები პროდუქტის ინსინერაცია“. ამასთან, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ერთი სამუშაო დღის ხანგრძლივობა შეადგენს 16 სთ-ს. 365 სამუშაო დღის გათვალისწინებით ინსინერატორი წელიწადში იმუშავებს 5840 სთ.“ (თავი 3.2., გვ. 9) და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები გაანგარიშებულია შესაბამისად, საწარმოს 5840 სთ/წელ მუშაობის პირობებისთვის (რაც ასევე წარმოდგენილია გზშ-ის ანგარიშში - თავი 6.3.2.2.2; გვ. 45; 46). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს სამუშაო რეჟიმი, რაც შესაბამისობაში უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრების გაანგარიშებასთან;

შენიშვნა გათვალისწინებულია: ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრების გაანგარიშება შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობების გათვალისწინებით: შენიშვნის გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი სამუშაო რეჟიმში და გადასამუშავებული ნარჩენების რაოდენობებში, იხილეთ დანართი N4.

7. გზშ-ის ანგარიშში (თავი 10; გვ. 69) მითითებულია, რომ „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2021 წლის 12 იანვრის N1 აკომინგის დასკვნით მოთხოვნილი საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი იხილეთ ქვევით ცხრილში 10.1.“ აღნიშნული სკომინგის დასკვნა ეკუთვნის ქ. თბილისში, სსიპ „სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის“ ნარჩენების ინსინერაციისათვის განკუთვნილი მისი ინსინერატორის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (მათ შორის წარმადობის გაზრდა) პროექტს. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას:

შენიშვნა გათვალისწინებულია: კორექტირებული ვერსია მოცემულია დანართში N5.

8. გზშ-ის ანგარიშის თავში 5.8.1 „მოსახლეობა და დემოგრაფია“, რომელშიც განხილულია ბაზვი I ჰესის მშენებლობა - ექსპლუატაციის საპროექტო არეალი, გაუგებარია და საჭიროებს დაზუსტებას;

შენიშვნა გათვალისწინებულია: პარაგრაფის დასაწყისში გაპარული იყო მექანიკური შეცდომა, სხვა ყველა სტატისტიკური მონაცემი მიეკუთვნება გარდაბნის მუნიციპალიტეტს. შესწორებული ვერსია იხილეთ დანართი N6.

9. 2022 წლის 25 ივლისს, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებას ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში გამართულ საჯარო განხილვაზე დამსწრე პირის მიერ დაისვა საკითხი ალუმინის ქილებში დაკონსერვებული პროდუქტის დაწვის შედეგად ალუმინის ნარჩენების შემდგომი მართვის შესახებ. საკონსულტაციო კომპანიის შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლის განმარტებით, მაღალი ტემპერატურული რეჟიმის პირობებში აღნიშნული ნარჩენი გარდაიქმნება ნაცრად, ხოლო ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება მისი შემდგომი მართვის საკითხი. თუმცა გზშ-ის ანგარიშში, საწარმოში ინსინერაციის მიზნით შემოტანილი

ნარჩენების სახეობების ჩამონათვალში ალუმინის შემცველი ნარჩენების თაობაზე ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

შენიშვნა გათვალისწინებულია: ალუმინის შესაფუთი მასლა ინსინერატორში შეიძლება მოხედეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როცა შესაძლებელი არ იქნება მისი შიგთავსისაგან დაცლა და გასუფთავება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 426 დადგენილების მიხედვით, ლითონის შესაფუთი მასალა (ალუმინის ქილები) - კოდით 15 01 04, არ მიეკუთვნება სახიფათო ნარჩენებს. ამავე დადგენილების მიხედვით არც მეტალური ალუმინის ნარჩენები (კოდი 17 04 02) მიეკუთვნება სახიფათო ნარჩენებს. აღსანიშნავია, რომ ინსინერატორში 800 – 1200 °C ტემპერატურაზე დამუშავების შემდეგ ალუმინი ფერფელში მოხედება მეტალური ალუმინი და ალუმინის ოქსიდი, რომლებიც ასევე არ მიეკუთვნებიან სახიფათო ნარჩენებს.

როგორც ვხვდებით ანგარიშშია მოცემული, ნარჩენების ინსინერაციის პროცესში წარმოქმნილი ნაცარი შესაბამისი ლაბორატორიული კვლევის გარეშე ჩაითლება სახიფათო ნარჩენად. ამასთანავე შეძარბილებელი ღონისძიებების და მონიტორინგის გეგმის გეგმებით, კომპანიას განსაზღვრული აქვს ვალდებულება ნაცრის ყველა პარტიას ჩაუტაროს ლაბორატორიული კვლევა ტოქსიკური ნივთიერებების შემცველობაზე და შემდგომი მართვა უზრუნველყოს ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიხედვით, კერძოდ: ტოქსიკური ნივთიერებების ზენორმატიული შემცველობის დაფიქსირების შემთხვევაში, ნაცრის მართვა მოხდება როგორც სახიფათო ნარჩენის.

ამასთანავე გთხოვთ არ განიხილოთ ჩვენს მიერ მიმდინარე წლის 31.08.2022 წარმოდგენილი განაცხადი N4479 რადგან ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი.

გთხოვთ იხელმძღვანელოთ ამ დოკუმენტით.

პატივისცემით,

მერაბ მამულაშვილი

შპს „ნიკორა“-ს დირექტორი

